

# ქართული თეატრი—გზაში და ტაძრების გადაცემი\*

თამარ გორგავა

ჩართული თეატრის ღლევანდელობის შესაფასებლად მის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არსები გარკვეული ექსპურსის გაკეთება დაგვირდება. ნებისმიერი ნაციონალური ხელოვნება ერთს თვისისძრიობასთან, მის მენტალურ ტიპთან, მისი ისტორიული თუ ეზოთერულ-მისტიკური ხეედრის არქეტიპებთანაა დაკავშირებული. იგივე ვითარება გვაქვს ქართულ თეატრალურ ხელოვნებაშიც, რომელსაც, გარკვეული თვალსაზრისით, „სუპერნაციონალურიც“ კი შეგვიძლია უწოდოთ. ამ გამოთქმაში მხოლოდ ეროვნული ატრიბუტების პოლოგეტიკა როდი იგულისხმება, აქ ჩენ, „თეოთგანლიდებისა“ და „თეოთუარყოფის“ ერთგვარ დიალექტიკასაც ვგვლისხმობთ, რომელიც ერთს მიერ საკუთარი რაობის, საკუთარი თავის ძიების პროცესის ნაწილია. ეს ტენდენცია, ერთგვარი „ზეამოცანა“, თავისი აღმავალი თუ დაღმავალი ფორმებით, მეაფიოდ გასდევს ქართულ კულტურას მისი ისტორიის მანძილზე, ძიება მიმდინარეობს როგორც ისტორიული რეალიების შემეცნების, ისე მითოსური სქემების გააზრების პლანში. ქართული თეატრიც როგორც ქართული კულტურის ჭეშმარიტი ნაყოფი, იგივე ტენდენციათა რკალში მეცვა. მიუხედავად ისტორიულად დადასტურებული ტრადიციებისა, უწივერ არსებობას ის გასული საუკუნის შეა წლებ-

ში (1850 წელს, გიორგი ერისთავის „გაკურის“ წარმოდგენით) იწყებს და თანდათან აგნებს იმ არსებით მითოლოგიურ ფორმებს, რომლებიც ქართველი ადამიანის მსოფლაღებისა და მუნების უნივერსალურ მოდელებს მოიცავს.

თეატრალური ხელოვნების სწრაფ განვითარებას ქართული კულტურის უმდიდრესი ბაზა განაპირობებს. უძველესი ქართული კულტურის წიაღში იძებნება უამრავი წყარო და მოზიგი, რომლებიც თეატრალური ხელოვნების გამომსახველობითი თუ მსოფლმხედველობრივი მხარეების ფორმირებას უწყობს ხელს. თეატრალურ სახიერებაში შეინიშება უაღრესად კოლორიტული და ორიგინალური ქალაქური კულტურის კვალი, რომელიც ათასწლეულების მანძილზე რამდენიმე აღმოსავლურ-დასავლური ცივილიზაციის შესაყაჩე უაღლიდება და განუმეორებელ თვისობრიობას იძნეს. ქართული ქალაქი, კერძოდ თბილისი, განსაკუთრებული მოვლენაა, თავისი ესთეტიკითა და ცხოვრების წესით, სრულიად განსხვავებული იმავე საქართველოს მთისაგან, რომელიც გაცილებით უფრო აღრეულ კულტურებთან ინარჩუნებს ცოცხალ კავშირს. „მას წილი უდევს თანამედროვე ცოცხალ ტრადიციები, რომელიც შემერულ და იქმლურ, ხეთურ და ებრაულ წარსულს წევება“ (ლეოპოლდ ციგლერი, ქართველი მწერლისა და დრამატურგის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შესახებ „თქმულებანი“, გვ. 263). რობაქიძისათვის

\* ეს წერილი ესპანური უტრალის დაკვეთით დაიწერა.

კოველი ადამიანი საწყალია, რომელშიც  
ურთიანდება მოკვდავი და უკვდავი. ღვთა-  
ებრივი — ადამიანური, ღვთაებრივი —  
ცხოველური... რობაქიძის ადამიანები...  
არიან არსებანი ბუნების ელემენტთა მსგა-  
ვსაბ, გაზრდილი და სრულებრივი მა-  
თი ყოფის თითოეულ ფაზაში, ჩასაც ფეს-  
ვები საყოველთა ძველთაძველ საფუძვე-  
ლში გაუდაგმს" (პეტე).

ქართული საშემსრულებლო ხელოვნე-  
ბის და თეატრის არსის ფორმირებაში  
უდიდესი როლი ხალხურმა ნიღბების თე-  
ატრია — ბერიკაობამ და ყენობამ ითა-  
მაშა. ეს ორი საკარნაციალო ტიპის სანახა-  
ობა ძველთაგანვე ნაყოფიერების კულტ-  
ონი, მომაკვდაცი და მკვდრეთით აღმდ-  
ვომი ღვთაების ციკლთან იყო დაკავშირე-  
ბული, ხოლო ღროთა მანილზე, ახალი  
შინაარსებითაც აღივსო, მათ შორის პატ-  
რიონტული თუ ყოფითი მოტივებით. თე-  
ატრალურ-რიტუალურ სანახაობებში წი-  
ნააზიურ და ხეთურ ღვთაებათა კულტე-  
ბის კვალიც შეინიშნება, ხოლო ბერიკაო-  
ბის ერთ-ერთი ფორმა, კვავილების საგა-  
ზაფხულო ღლესასწაული, რომლის დრო-  
საც ბარშევი ერთმანეთს ხის აყვავებუ-  
ლი რტოებით, უძრებებითა და გვირგვინე-  
ბით ამკოდნენ, საბერძნეთში დიონისეს  
ანტესტურონის თვის (თებერვალი, მარ-  
ტი) ღლესასწაულსაც მოგვაგონებს.

თავდაპირველად თეატრის, როგორც  
საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხელოვნე-  
ბის წინაშე, ქართველი მოღვაწეები ძირი-  
თადად ძალზე კონკრეტულ ამოცნებას  
და განმანათლებლურ მიზნებს აკენებენ  
— თეატრი უნდა იყოს ადგილი, სადაც  
ქართულად იძეტვებენ, ერისთვის უმ-  
წვევეს პრობლემებს წარმოაჩენენ, წარ-  
სულისა და თანამედროვეობის საუკეთესო  
ღრამატულ ნიმუშებს აჩვენებენ. მე-19  
საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სა-  
მეფოს გაუქმების შემდეგ (რუსეთის იმპე-  
რიატონი შეერთების შედეგად), ადგილო-  
ბრივ სასწავლებლებში სწავლება რუსულ  
ენაზე მიმდინარეობს, საეკლესიო წირვა-  
ლოცვი რუსულად აღველინება. ქართ-  
ველი მოღვაწეები ცდილობენ მოძებნონ  
მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი ჩვე-  
ლა პოპულარული ფორმა, რომელიც ერ-

თანი ნაციონალური ცნობიერების შეწყვ-  
რჩუნებას და განვითარებას შეუწყვებს  
ხელს. ასეთები, პირველ რიგში, თეატრი  
და პრესა აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი, უსა-  
ხსრობის გამო, ხშირად შევეტა გამოსვ-  
ლას, მაგრამ, საერთო ძალისხმევით, ჰე-  
რიოდულ გამოცემათა მუდმივი განახლება  
ხდება. იქნება წერა-კითხვის გამავრცე-  
ლებელი საზოგადოების, რომელიც შშობ-  
ლიური დამწერლობის შეწავლის საშუა-  
ლებას აძლევს ხალხს (ქართული ანბანის  
შექმნას სავარაუდოდ წე. წ. აღ-მდე 1. სა-  
უკუნით ათარიელებნ და მეცე ფარნავაზს  
მიაწერენ). საზოგადოების შექმნაში სა-  
ხელოვანი ქართველი მწერლები, მეცნიე-  
რები და მოღვაწეები ერთვებინ, რომელ-  
თა ძირითად მისიას ნაციონალური კულ-  
ტურის წინსელა წარმოადგენს. „განმა-  
ნათლებელი“ იაკობ გოგებაშვილი ქმნის  
ქართული ანბანის წინას, რომელსაც „დე-  
ბარას“ უწოდებს. იგი ცდილობს ქართუ-  
ლი მეტყველებისა და დამწერლობის ხმო-  
ვანი და ვიზუალური რიგი იმ კონკრეტულ  
თუ ასტრატეგიულ რეალიებს დაუკავში-  
როს, რომელთაგანაც ჩვენი გარემო შედ-  
გება.

ქართულმა ცნობიერებამ ნაციონალური  
თეოთმყოფადობის პირობითი მაქსიმაც  
შეიმუშავა — „ენა, მამული, სარწმუნოე-  
ბა“. ამ ტრიაღის თითოეული წევრი საქა-  
რთველოს რაობის აუცილებელ სიმბოლოდ  
მიიჩნეოდა.

ქართულ კულტურას შშობლიური ენის  
ეზოთერულობის რწმენაც ახასიათებს,  
შეასაკუნებების ხანის მწერალი იოანე  
ზოსიმე თავის ნაწარმოებში „ქეპია და  
იოლება ქართულისა ენისია“ ვანაცხა-  
დებს, რომ ქართულ ენაში „უდიდესი სა-  
იდუმლო დამარხულ არს“ და რომ უფალი  
განკითხვის უამს ქართულად იძეტვებებს.  
ქართული „მესანიშმიი“ უაღრესად იდეა-  
ლისტურია და შშეიღობიანი და თავისი  
ენის უნივერსალურობის რწმენის გზით  
გაიაზრებს კოსმიურ და მისტიკურ კონტ-  
აქტებს: ერი ერთგვარ გაუცხოებულ მი-  
მართებაშია თავისივე ენის მიმართ და  
მასში დაფარული მისტიკური სრულყო-  
ფილების შეცნობას ელოტის. საერთოდ,  
ქართული კულტურა, ურთულესი ისტო-



მოტივებით, ტრადიციებით, კულტურული წარმოშობითა და გავლენებით ნაჯერ გარემოში აღმოცენებული თეატრის წინაშე ურთელესი ამოცანა დადგა, სპირო იყო ამ რეალობისთვის ერთოანი უნივერსალური სახიერი ფორმის მოძებნა, მისი შინაგანი სასიცოცხლო იმპულსის მოკვლევა და ნაყოფერი დრამატული ფორმის შექმავება, სინამდვილის დუალისტური ბუნების წევომა. ალბათ, სწორედ ამიტომ შენიშვნება ქართულ თეატრალურ კულტურაში იგაუზრ-მეტაფორული ენისკენ მიღრეკილება, რომლის წანამდვრები უძრავინებალეს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებშიც მოიძებნება. ორიგინალური თუ თარგმნილი (ძირითად სპარსულიან) იგაუზრი თხზულებანი სინამდვილის შესაძლო გამოვლინებათა სიმბოლურ მოდელირებას ახდენენ. ამავე ღროს, იგავთა წიგნისთვის ერთგვარი კონტრაპუნქტული წყობაცა დამახასიათებელი, შეჯიბრის, შეპავერების გითარება, რომელიც ორი პოზიციის ურთიერშემსჭვალვის საშუალებას იძლევა და ნაწარმოებს დინამიკას და დრამატიზმს ანიჭებს. XVII. საუკუნის იგავ-არაკათა თხზულებაში „სიბრძნე-სიცრუისა“, რომელიც ქართველ მისიონერს, სულხან-სამა ორმედინს ეკუთვნის, ეს წყობა მეტის ორი კაზირის შეპავერების სახითაა წარმოდგენილი, ერთი ეთიკური მაქსიმალუზმისა და ლვათებრივი სამართლიანობის პოზიციაზე დგას, ხოლო მეორე პრაგმატული მორალის გამომხატველია.

ქართული საზოგადოების წინაშე თით-  
ქმის მუდმივად ორი უმწვავესი პრობლე-  
მა დგას — საკუთარი ინდივიდუალობის  
შენარჩუნება, კულტურულ-სახელმწიფო-  
ებრივი პოლიტიკის განვითარება და ფი-  
ზიკური გადარჩენა, უძმიდეს გოთარებები.

თან შეეცვალა და სიცოცხლის შენაურულების მიზანი ბა. ხშირ შემთხვევაში, ეს ორი მიზანი ერთმანეთთან თითქმის შეურიგებელ წინა-აღმდეგობაში ეცცება. ვფიქრობ, ქართულ თეატრში ფეხმოყიდებულმა ორმა თემუ-ლებამ — მითმა მინდის შესახებ და ზღა-პარმა ნაცარქექიანშე, მათი ახალი დრამა-ტურგიული რედაქციით, საზოგადოებრივ-ისტორიული პრობლემატიკა პუნქტის, გა-რდაცვალებისა და მკვდრეთით აღდგომის მისტერიულ ციკლს დაუყავშირა და ამით მითოსური სტრუქტურის ისტორიულ რე-ალობაზე პროექცია მოახდინა. შედეგად ისტორიული და მითოლოგიური დრო, ქა-რთულ თეატრალურ მითოსში, ერთმანეთს შეხვდა და გამთლიანდა, ურთიერთგამომ-რჩეა ანტაგონისტ პერსონაჟთა სახით, მარადიული წრემრუნვის ორ თვისობრი-ვად განსხვავებული პარალელურად მიმ-დინარე ციკლი გამოიკვეთა. ერთი მხრივ — მისან მინდისას უკომპრომისო ზეობ-რივი მაქსიმალური, კოსმიური პარმონი-ის აღდენისაკენ სწრაფდა, სიყვარულის საყველაობის წვდომა, რომელიც მა-რადიულ სწყისებთან განსხვავდებოდა მიახ-ლოების საწინაარი ხდება, მეორე მხრივ — ნაცარქებია — ყვარყვარეს მარადიული თვითგანვირცობა, რომელიც სულის ნაკ-ლებობით შექმნილი ვაკუუმის ხარჯზე მი-მდინარეობს. ლამარასა და მინდის შესა-ხებ მითში წარმოდგენილი სამყაროს აბ-სოლუტურ სისავსეს, სულით ნაჯერობას, ყვარყვარეს სამყაროს სიცარიელე, მისი ფორმალური „უსიცოცხლო“ სიცოცხლე უპირისიპირდება, რომელიც, ფაქტობრი-ვად, აზრით, სულიერებით, შინაგანი მი-ზანსწრაფულობით აღვისილ სამყაროს მი-მიკრიაა, პარაზიტული ფაქტურაზაა, ლან-დია, რომელიც მზა სტრუქტურაში „ჩა-სახლებით“ ვრცელდება და მის პირველად მინდნეობას აყილებს.

დღევანდველი გადასახელიდან თუ შევ-  
ხედავთ, ქართული თეატრის უაღრესად  
მრავალფეროვან და სხვადასხვა თეატრა-  
ლური ფორმითა და მიმღინარეობით მდი-  
დარ გზაზე იკვეთება მსვლელობა ჯერ  
„ლამარასკენ“, როგორც ქართული სული-  
ერების ერთ-ერთი ღირებულებითი შწვე-  
რფლისკენ, შემდევ კი „ყვარელყვარესკენ“.



მისი კატეგორიალური ანტიპოდისკენ, როგორც ბუნების მისტერიული ციკლის თეატრალური განმეორება, რაც ქართული თეატრის შინაგანი მიზანსწრაფვის, პირველსაწყისებრივ მისი კავშირის შესახებ მეტყველებს. ეს იმანენტური, თავისთავადი პროცესია, რომელიც სხვა კონცეპტუალურ მიგნებებთან თუ ესთეტიკურ და მხატვრულ ამოცანებთან ერთობლიობაში იკვეთდა.

მისტერიი „ლამარა“ გრიგოლ რობაქიძემ 20-იანი წლების დასაწყისში ჩატეთიდან საქართველოში დაბრუნებული ცნობილი ქართველი რეესორის, კოტე მარჯანიშვილისთვის დაწერა. ამ მითის პირველადმომჩენი უდიდესი ქართველი პოეტი, საქართველოს მთის მკვიდრი ვაჟაფრეაველა გახდათ, რომელმაც მის საფურველზე შექმნა ფილოსოფიური პოემა „გველისმჭამელი“. გრიგოლ რობაქიძე მოკლედ ასე გადმოვცემს მინდიას ამბავს: „ხევსური მინდია გაიტაცეს დევებმა. დატყვევებულ თვალს მოპკრავს... დევები გველს სჭამენ... იგემებს და: მყისვე მისნად იქცევა. მისანი აგნებს რა გზით გათავისუფლდეს. თავისუფლდება. თავისუფლი ამჩნევს გაოცებით: შეცვლილია სამყარო. შეცვლილი თეითონაც, ესმის საიდუმლო ენა — ქვის, მცენარის, ნადირის, ვარსკელავის. ამათაც ესმით მინდიას სიტყვა. მყარდება სიყვარული“.

„დედაშირი თქმულებისა უნივერსალურია: — დასკვნის რობაქიძე, — შემცენება ქმნის სიყვარულს (ლეონარდოს თეზისი) — სიყვარული ქმნის შემცენებას (თეზისი პავლე მოციქულისა). ქართულ მითოსში შემცენება და სიყვარული და სიყვარული და შემცენება მოშეილდებულ არიან ისე, რომ ლეონარდო პავლეს ავსებს და პავლე ლეონარდოს.

... მინდია იგივე ფრანესის ასიზელია, მხოლოდ საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი აღსების...“

როდესაც ევროპულ დრამაში ადამიანის სულიერი დანაწევრების და სამყაროში მარტობის განცდა მატულობს, ქართულ თეატრში წინ მოიწევს სამყაროსა და აღამიანის უნივერსალური ერთიანობის, ადა-

მიანის ყოვლისმოცველი პატრიტული მეტერიალის თემა, მყაცრი კატეგორიული იმპერატორი.

ხევსურ მინდიას, მისანის, ფრინველთა და ყვავილთა ენის მცოდნეს და ქისტ ქალ ლამარას ერთმანეთი უყვარდებათ. მინდიას ძმა თორლვაი მოტუშებით იტაცებს ქალს და ცოლად ირთავს. გაბოროლტებულ მინდია თავის მისნურ ძალას კარგავს და სასორავეთილებაში ვარდება. ქისტებსა და ხევსურებს შორის ომი იფეთქებს, რაღაც თორლვას ლამარას ძმა მურთაში შემოაკვდება. მინდია გადწყვეტს შეუღლს ბოლო მოუღლოს, მტრის ბანაკში მიდის და მურთაშის მკვლელად წარუდება ქისტებს. მურთაშის მამა იჩი რიტუალური შურისების აღსრულებას აპირებს, მაცვილს აღმართავს, მაგრამ, მინდიას ნათელი სიმშეიღით მოხიბლული, მტრის მიუტევებს, შეინდობს და შეიღად ცნობს. მინდიას მისნური ძალა უბრუნდება. ტრაგიკული გაორებითა და აქლობელთა მოსისხლეობით დასწეულებულ ლამარას მათი დაზავებაც ვეღარ შევლის, იგი კვდება.

„ლამარას“ მიხედვით ყველაზე გამაურებული წარმოდგენა რეესორმა სანდრო ახმეტელმა დადგა 1929 წელს, რუსთაველის თეატრში. სექტემბრის პერსონაჟებმა, მოსკოვში გამართულ ხელონების ოლიმპიადაზე კრიტიკას და მაყურებელს „შექსპირული სახეები“ გაახსნა, იმდენად ძლიერი და მიზანსწრაფული იყო მათი კნება, იმდენად რადიკალური და მტკიცე — მათი პიროვნული არჩევანი. პიესაში, მშენებირი ლამარას სახით, მზის, ნაყოფიერების, სიცოცხლის მარადიული ციკლის სახეერი სიმბოლოა წარმოდგენილი — ობრუნებოვანი სახე მწიერი და მისტიკური ბიოგრაფიებით, ერთდროულად შოლოვადი და მარადიული. ახმეტელის სექტემბრიც შეზირი ენერგიით, მცხუნვარებითა და ძალით იყო გაედენთილი, გმირთა ტემპერამენტი მათი მოქმედების პლასტიკურ-ემოციურ პორტრეტში ვლინდებოდა, თეატრალური განცდის სიმართლე ვიზუალური სახიერებით, მუსიკალური შეკრულობითა და შინაგანი ზემსწრაფე იმპულსით ვითარდებოდა. მხატვარ ირაკლი გამრეკელის სცენოგრა-



ჭირა მთავრობის რელიეფის მეტაცორას შეის სიმბოლიკას უერთდება, რომელიც დეკორაციის ზედხედში იყოთხებოდა. სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული სა-თამაშო მოედნები და კლდოვანი პიკები კიდევ უფრო ძაბავდა და მუსტავდა სცე-ნურ ატმოსფეროს, სათამაშო მოედნის წრიული ფორმა სპირალურად აღმავალი კანტურებით ქართულ ორნამენტში არსებულ შეის ერთ-ერთ გამოხასეულებას — ბორჯლალს წააგავდა, რომელიც ცნობილიან გამომავალ კანცენტრულ სპირალურად მორკალულ სხივებს მოიცავს, რო-გორც ენერგიის მარადიული ფილტერების სიმბოლოს. „ეს არ იყო ზოოლოგიური პატიონისტი, — წერდა სპეციალის შესახებ ქართველი კრიტიკოსი ივანე გო-მართელი, — არამედ ცხადად ხილვა თა-ვისი რასიული მეობისა“, „არ არსებობს არც ერთი ინტერნაციონალური ფორმა, რომელიც ერთს ცხოვრებიდან არ იყოს წამოსული“, — განმარტავდა ახმეტელი.

იმედდ შაქეს, სტატიის შეითხევლს არ შეემნება ისეთი მთაბეჭდილება, თითქოს ქართული თეატრი მხოლოდ ფოლკლო-რულ მოტივთა დამუშავებით ყოფილიყოს დაკავებული. მისი პროფესიული სამსახიობი და სარეკისორო სკოლა უაღრესად ძლიერი იყო, განსაკუთრებული აღმავ-ლობა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან შეინიშნებოდა, როდესაც რუსთაველის თეატრში მსახიობთა და რეჟისორთა ახა-ლი ძლევადა მოვიდა. მათ სცენაზე გრძო-ბათა სისადავე, არტისტიზმი და უშეალო-ბა დაამკვიდრეს. 60-იანი წლები საზოგა-დოებაში პიროვნების თვითგამორკვევი-სადმი, მისი დამოუკიდებელი ინ-დივიდუალური აზროვნებისადმი ინ-ტერესით ხასიათდება. ამ თვალსაზრი-სით, განსაკუთრებით აღსანიშნავია რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის შემოქ-მედება, მისი ფისტიქლოგიური სიმართლი-თა და თეატრალური სახიერებით გამორჩეული სპეციალები. კომედიაც ტრაგე-დიაც ევზისტენციალური დრამაც ახალ ელერადობას იძენს, ფსევდორეალიზმის დეკლარირებული ფორმებისგან თავისუფ-ლება და პიროვნებათავან შემდგარი სა-მოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების

დასაწყისს გვაუწიებს. მისი მაქსიმუმი გრძნობის, ნებისა და გონების თავისუფ-ლება, თუნდაც დანაკარგების ფასად მო-პოვებული. ამისთვის იბრძვის ანტიგონე ანუის პიესაში (რუსთაველის თეატრი, 60-იანი წლები), ამასევ ელტვის დონ ჟუანი თავისუფალი თვითგამოხატვისენ დაუკეტებელ სწრაფვაში (კინომსახიობის თეატრი, 80-იანი წლების დასაწყისი),

60-იან, 70-იან წლებში საყურადვე-ბო თეატრი ჩხეიძის დახვეწილი, „ასკე-ტურად თავშეავებული“ სპეციალები გრძნობათა ფაქტზე ბუნებით. ჩხეიძის „ოეატრი“ ქართული მენტალიტეტის, ეთიკური ტრადიციის ფარგლებში უცხო, დამაგრეველი სულის ჩასახეაზე მოგვი-თხრობს.

60-იანი წლების დასაწყისში, რუსთავე-ლის თეატრში მოდის უაღრესად „რადი-კალურად“ განწყობილი რეჟისორი — რობერტ სტურუა, რომელიც თავისი ფა-რსული თეატრის ესთეტიკას საზოგადოე-ბის ტოტალური თვითგამხატვების ამოცა-ნის უკავშირებს. მისი რადიკალიზმი ფრე-ნისის ბეკონის ჩვეიზიონიზმს მაგინებს, რომელიც აზროვნების მთელი შინაარსის ღირებულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყე-ნებს. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეჟისორი ღირებულებათა და წარმოდგე-ნათა იმ გაყალბებულ ერთობლივობას, რო-მდებიც თანამედროვე საზოგადოების ცნობიერების შინაარსს შეაღენს. სტუ-რუას შემოქმედებაში, ფორმისა და შინა-არსის გათიშვასა და მათი თავისუფალი შეკავშირების გზით, ფარდა ერთება გაყა-ლბებული ფორმის საიდუმლოებას, შე-საძლებელი ხდება რეალობის კონტექსტ-თა დასრულებელი ვარიეტება, ილუზიუ-რი ფორმის დისკრედიტაცია და მხილება. გაყალბებული ფორმის მაცდუნებელი ეცეტი ლოგიკური შსჯელობის სოფის-ტურ მისტიკურიაციის გაეს, რომელიც კეშმარიტების ილუზის რეალობად ასა-დებს. ეს მექანიზმი ყველაზე მკაფიოდ დრამატურგ პოლიკაპე კაკაბაძის „უვარ-უვარე თუთაბერში“ (რუსთაველის თეატ-რი 1974 წელი) იკვეთება („უვარუვარე თუთაბერი“ ნაცარქევების ფოლკლორული ვერსიის დრამატურგიული დამუშავება).

ნაცარქექია უნივერსალური შემგუებელია, შეიარული თეოთმარქებიაა, რომელიც გონებამაზე გილური მისრიტიკაციით დევს გაპრიცეპს და მის ქონებას დაპატიონება).

პოლიტიკური ავანტურისტის — ყაკარქვარეს მიერ ძალაუფლების მოხვევის გზა, თავის საკანძო მომენტებში, საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი კულტურულური და წმინდა მოდელის — მაცხოვრის ცხოვრების ეტაპებს იმეორებს. და ნაბიჯ-ნაბიჯ, საპირისპირო კონტექსტის შთანერვებით, მის შინაარსს აყალბებს. დისკურსილირებული საიცოცხლო ფორმიდან ამორთულმა ცოცხალმა სუღმა თოთქის თავისი სახე დაკარგა და კარნავალური ფარსის ამ მესამე წევრის არსებობამ დაუკავშირა „სტურეს თეატრი“ ბრეხტის დრამატურგიას, მისი ცონბილი ინტელექტუალური ირონითა და გაუცხვებით. მესამე წევრის ირონიული მდუმარება უაღრესად მეტველი აღმოჩნდა. თუმცა ცოცხალი სული პერიოდულად თვითონაც ერთოდა ფარსის მსვლელობაში და „მსაგასს მსაგასით“ ებრძოდა, მისტიფიკაციას მისტიფიკაციით პასუხობდა — უსამართლობის ნიბით სამჭრთლიანობას ამკიდრებდა, სიყალბით კეშმარიტებას უკაფავდა გზას. ცორედ ასეთი გამლდათ აზდაკი, რამაც ჩინკვაძის პერსონაჟი ბრეხტის „კავკასიური ცარცის წილიდან“ (1975 წელი, რუსთაველის თეატრი), ლოთი მოსამართდე, ნიბიას ამოფარებული კომედიანტი და მასხარა. ქართული ინტელექტუალური ფარსის თვისის თეოსტრიობის. წარმოსაჩენად განსაკუთრებით ნიშანდობლივია აზდაკის სიძლერა, რომელიც დიდაქტიკური ისტორიის ეპიკურ თხრობას გვპირდება და უიტქურ და უშინაარსო დამღერებად გადიგებევა მრავალმნიშვნელოვანი სახუმარო აქცენტებითა და პაუზებით. ტრადიციული მეტველებით სიმართლის თქმულებამ ხდება. კეშმარიტებამ უარი თქვა ძეველ სამყაროზე და „სიცილის კულტურის წიაღს“ შეაფარა თავი. ბახტინის ეს ტერმინი უაღრესად ზუსტად გამხატავს ქართულ თეატრალურ სახიე-

რებაში დამკიდრებულ ვითარებას, როდესაც ნებისმიერი კონკრეტულდაფილია შეიძლება მხოლოდ უარყოფით, მერყევი და მაცდელი შინაარსის მატარებელი იყოს.

სტურუას თეატრის „ანტიმითოსური“ ტენდენცია ცნობიერების შინაარსის განახლებისთვის „ინდექციურ მეთოდს“ უკავავს გზას. მაგრამ, საამ ინდუსტრიას მიმართავდეთ, ცოტაოდენი დამილის „ესთეტიზაციაზეც“ ვისაუბროთ, რადგან, აღმათ, სხვა სახელს ვერ დავარქმევთ „მეფე ლიქში“ (რუსთაველის თეატრი, 1987 წელი) უდიდეს ჟაზუს, რომელიც „ერთპიროვნული“ მმართველის სცენაზე პირველ გამოჩენას უძღვის წინ. ეს პაუზა, ეს დაძაბული მოლოდინი გაცილებით მეტს მოგვითხრობს პერსონაჟთა შესახებ, ვიდრე ფსიქოლოგიური დამჯერებლობით წარმოქმული ვრცელი მონოლოგი. მოლოდინი უსასრელოა და მტაცეველი, ის იწვევს ღიმილს, გაოცებას, ცნობისმოყვარებას... ბოლოს და ბოლოს გამოჩენდება ლირი (რამაზ ჩინკვაძე), მოხუცი, დაუდევრად ჩაცმული კაცი, რომელიც სახლის ჩბილ ჩუსტებს მოაფრატებს, ის აღარავის კარძნება და იმორჩიებს, მას თითქოს მოწინდა კიდეც ძალაუფლების ერთფეროვნება და გასართობად სამეფოს დანაწილების თამაშს იწონებს. ძლმოსილი ლირის პორტრეტი მოწლოდებული და, ამავე დროს, კანონითმიერი შედევრი იყო ძალაუფლებისთვის ბრძალის იმ ბრწყინვალე ფერაბში, რომელიც კომედიანტმა და მისტიფიკატორმა უკავებარებ დაწყობს და რიჩარდ გლოსტერმა აიტაცა მისთვის ჩვეული დასევრილი არტისტისმით („რიჩარდ III“, 79 წელი). რიჩარდ გლოსტერი თავისი გამომწვევი თეატრალური კუზითა და კოკლობით, თავისი მოცემვე კვებული სელით ჯალათი არ იყო, ის სახიერი ბრძოლების არტისტი გამზღვდათ, ასეთივე იყო პირქუში და მტკიცე რიჩმონდიც, ქანდაკებასაცით ძლიერი რაინდი ვებერთელა ხმლითა და მტკიცე ნაბიჯით. დაუკიციარია მათი ბრძალის სურათი, როდესაც ინალისის რუსში გახლართული ისინი ტიტანებით არყვედნენ ქვეყნის

რებას. შედეგად? შედევად მივიღეთ ფანტაზიისგან განძარცვული სამყარო, დაღლილობა და მოყირჭება, ლირის ქალიშეილთა ბოლომა და აქცევენიურ სიამეთა განცდაზე, დაუცხრომელი ნოსტალგია, დიდი თეატრალური თამაში ფორმის ბრწყინვალე ფანტომებით რეგანასა და გონიეროლის უგმოვნო ფუფუნებით დასრულდა, ლირის სამყარო დაინგრა, დაიმსხერა აენტრიურისტთა ქიმერული ციხე-ქალაქი და კუველივე დავიწყების კვამლმა მოიცეა. დასრულდა მსოფლიო სულის მიერ თვითუარყოფის მორიგი ციკლი. „ლამარას“ მოვლინების მომენტი დადგა.

მაგრამ, სანამ სტურუა „ლამარას“ განხორციელებას მოყიდებდა ხელს, მან „ინდუსტრიული მეთოდის“ ლოგიკით მეტკველებისა და აზროვნების „უმარტივეს“ ელემენტთა სამყაროს მიაკითხა და იყობ კოვეტაშვილის „დედა-ენა“ დადგა, რომელსაც „იაკობის სახარება“ უწოდა სახელად (1996 წელი). ახალი სამყაროს კონსტრუირება იმ ხმოვან და ვიზუალურ სიმბოლოთა წარმოინიშებით დაიწყო, რომელთაგანაც წევილი ცნობიერების მინარესი იყინძება. ქართული ანაბანის ორნამენტულ ქარგაში, მის პირველებმილ უღერადობაში ჩაისახა ეროსი, სამყაროს სული, რომელიც ფორმისა და უღერადობის მინიჭებით სასიცოცხლო ძალას შთაბერავს ცნობიერების „უფორმო მატერიას“, ემოციით და განცდით აღავსებს მას და სიკედილ-სიცოცხლის გზას შეუუწებს.

წრობედ ეროსით ნასაზღოვებ, ბუნების ათასგვარი ხმოვანებით აღვისილ სამყაროში მოვიდა მინდია („ლამარა“, 1996 წელი), შემეცნებითა და სიყვარულთ „დაგესლილი“ ადამიანი, ქვეყნიერების სევდისა და სისარულისთვის გახსნილი. ახმეტელის „ლამარასაგან“ განსვავებით, სტურუას „ლამარას“ სცენა თითქმის ცარიელია, სიცოცხლის იდუმალი მისტერიის დასატევად გამზადებული, მოედნის ფარსული თეატრის მკვეთრი ფორმების სანაცვლო, ტყივილიანი განცდის მორთოლვარებით აღვისილი. სტურუამ შეცვალა მისტერიის ფინალი და ლამარას „წასელას“ მინდიას „წასელაც“ დაუკავშირა. თემის „ღალატისთვის“ თანამომე-

თა მიერ ჩაქოლილი მისანი თავის ერთ თერულ სატრფოსთან ერთად უწყობდება ბა ბუნების იღმუალ ძალას და თეატრალურ მყოფი სიყვარულის კიბით აღმავალი კაცურ ბუნებას თმობს.

1998 წლის იანვარში, ახალგაზრდა რეჟისორთან, დავით საყვარელიძესთან ერთად, სტურუა კარლო გოცის „ქალგველს“ დგამს. მან „პოსტმოდერნისტულ“ სპექტაკლში, რომელშიც მან ნიღაბთა თეატრის სახლდერებში თეატრალურ უართა მთელი მრავალფეროვნება მოაქცია — მაღალი ტრაგედიიდან მელოდრამამცი, კომედიიდან ფარსმცი, იგი უკვე ადამიანური ბეჭისწერის წრებრუნვის ირონიულ გაზრებას ცდილობს და ბოროტებისა და სიკეთის კატეგორიალური დაბრინისირებისაგანც გაუცხოვდება, მისივე „თეატრის“ მიერ განვლილ გზას შეაჯამებს და უკველვარ ლოგიკურ თუ ეთიკურ დეფინიციაზე აცხადებს უარს, რადგან ადამიანის სიცოცხლის რეალობა არც ერთ ცნობილ კეშმარიტებაზე არ დაიყვანება. „ზორიტა და კეთილს შორის სდევარი“ („მაგეტი“) ცნობიერების ფარგლებს მიღმა ძევს.

დღევანდელ ქართულ თეატრში მოღვაწე ახალგაზრდა რეჟისორთა ნაწილს ერთი პირითადი თვისება ანათესავებს — ისინი ქართული „აკადემიური“ თეატრის უძლიერესი ტრადიციისაგან გათავისუფლებას ცდილობენ და თავის ხელოვნებას უარყოფისა და პარადოქსულ ინტერპრეტაციებზე აგებენ. ეს, ერთი მხრივ, მათ კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის უარსაყოფ საგანზე და მის ერთგვარ „უკუანარებად“ წარმოაჩენს. სხვები ცდილობები თანამედროვე ქართულსა და უცხოურ დრამიში ექცეონ ნაყოფიერი მორიგები, აბსურდის, ფიზიკური თეატრისა თუ პერფორმანსის გამოცდილებას მიმართონ, რათა ხედვისა და შემოქმედების უშუალობა აღიდგინონ. ამასთანავე, პოსტსაბეროთა ვითარებაში, მათ თეატრალური საქმის ორგანიზების ახალ ფორმებთანაც უწევთ შეხება. საბჭოთა თეატრი ხელოვნების „გეგმაზომიერ მართვას“ სახელმწიფო პროგრამას უკვემდებარებდა, თეატრებსაც, ძირითადად, სახელმწიფო სტა-

ტუსი პეონდათ, თუ არ ჩაფიცელით რამო-  
დებინდეს სტუდიასა და სახალხო თეატრს.  
„სარდაფის“ თეატრებს შეფარებულნი  
ისინი „კანონგარეშე“ მყოფთა თავისუფ-  
ლებას განიცდიან, თუმცა თეატრალური  
სივრცების ათვისება საინტერესო ექს-  
პრიმერნტულ ძიებებს წარმოშობს, მას-  
შტაბური ფორმები ურთიერთობის ინტი-  
მით იცვლება, ეზოთერული სიყვარულის  
„სიყვარულობით“ დაღლილნი ისინი  
ბუნებრივ გრძნობებს ელტვიან და მწე-  
რების თავისუფლებასაც კი შერით უმ-  
ზერენ (ზორუ შტრაუსი, „პარკი“, რე-  
დ. საყვარელიძე), მექი დანას მხიარულ  
ბორობმოქმედებს უერთდებიან და მომ-  
ხიბვლელ მემაკებთან მევობრობენ („სა-  
რდაფის თეატრი“, გ. ბრესტის „სამგრო-  
შიანი ოპერა“, რედ. ლ. წულაძე), პამლე-  
ტის აუნდობელი და მეთოდური რეფლე-  
ქსებით შეძრწუნებულნი პერტუდასა და  
კლავდიუსს „პატრიარქალურ“ წყვილად  
წარმოგვიდგენენ („სარდაფის თეატრი“,  
„პამლეტი“, რედ. ა. ვარსიმაშვილი,  
1998 წელი) და აკუტაგავას გმირიეთ  
გაფრენას ლამობენ („ცხოვრება იდიო-  
ტისა“, რედ. დ. დოიაშვილი, კინომსახიო-  
ბის თეატრი).

ვფიქრობ, ქართული თეატრი ღლეს  
ერთგვარ გზის გასაყარზე დგას და თეო-  
სობრივად ახალ სახიერებაში გადასცელი-  
სთვის ემზადება. თუმცა, ამ პროცესის  
პროცენტირება ჯერჯერობით ძალზე ძე-  
ლია.

#### ლიტერატურა:

დ. ჭანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური  
საწყისები“, სახელმისი, თბილისი, 1948.

ნ. გურაბანიძე, „რეჟისორი რობერტ სტურა“  
გამომცემლობა „ხელონება“, თბილისი, 1997 წ.

რესტავრაციის თეატრის სამუშაომ აჩვინის  
მასალები.

მანანა ტურიაშვილი — ბატონი ოთ-  
არ, საქვეყნოდ ცნობილია თქვენი უსა-  
ზღვრო სიყვარული თეატრისადმი. რამ  
განაპირობა ასეთი სიყვარული, ნიჭმა  
თუ თავად თეატრის მიმზიდველობამ?  
ოთარ მეღვინოეთუცემესი — საზოგა-  
დოების გარკვეული წაწილისათვის,  
იყალრს შეიძლება მნიშვნელობა არ  
ქონდეს. მაგრამ თუ ადამიანი განსა-  
კუთრებული, დიდი სიყვარულით მოვი-  
და თეატრში, მერე მასთან განშო-  
რება ძალიან ძნელია. ის, რომ მარჯა-  
ნიშვილს თეატრის საქმე სასამართ-  
ლომდე მივიდა, სწორედ თეატრის დი-  
დი სიყვარულიდან მომდინარეობს. ად-  
ამიანი კარგავს რეალობის შეგრძნებას,  
თანამედროვე თეატრს გამოადგება” თუ  
არა, არ ფიქრობს. ადამიანი გვერდი-  
დან ვეღარ უყურებს თავის თავს. რა-  
კი შემოიდგა უხეი თეატრში, ვეღარ  
ეშვება. არა და რა დაინტერესებაა  
თეატრში? ჩემი ცხოვრების მანძილზე,  
რაც მე თეატრში ვმუშაობ, რაიმე მა-  
ტერიტორიული მოგება მაქვს? არა! აკა-  
კი ვასძე ამბობდა ხოლმე, რომ ნები-  
სმიერ ქვეყანაში მსახიობები კარგად  
ცხოვრობენ და მიღიონერებიც არია-  
ნო, მაგრამ ჩვენ, ამ სინამდვილეში  
ამას ვერ მოვესწარით. ღლესაც, როცა  
სახელმწიფო წყობა შეიცვალა, არტი-  
სტი ეკონომიკურად მაინც ძალიან გა-  
ჭირებულია. მოხუცებულ კაცს, რო-  
მელმაც ოჯახი უნდა შეინახოს, 40  
ლარი აქვს ხელფასი. მიუხედავად სი-  
დუხჭირისა, ის თეატრს მაინც ვერ  
ეშვება. არ მიდის საეჭვორდ, საიდანაც  
შეუძლია მოგეპაც ნახოს და ოჯახიც  
შეინახოს.

მე კალავ ჩვენი თეატრის აშშებს  
კუბრუნდები. როგორც კაცს, როგორც  
მსახიობს, მათი მესმის. მაგრამ როგ-  
ორც ხელმძღვანელი, ვალდებუ-  
ლი ვარ თეატრის ინტერესები პირად  
გრძნობებზე მაღლა დავაკენო. თეატ-